საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

თბილისის საქალაქო სამსახური
TBILISI CITY SERVICE

N 09-2/371
21/01/2020

371-09-2-2-202001211055

საქართველოს სტრატეგიული კვლევის და განვითარების
ცენტრის პროგრამის კოორდინატორს
ვახტანგ კობალაძეს
(მის: თბილისი დელისის 1 შესახვევი 5ა
ტელ: 2 399019; ელ-ფოსტა: office@csrdg.ge)

ბატონო ვახტანგ,

2020 წლის 10 იანვარს სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა თქვენი №384 წერილი, რომელიც ეხებოდა შპს „რესპუბლიკა“-ს (ს/კ 406205592; ფაქტიური მისამართი: ქ.თბილისი, ორხევი, ახვლედიანის ქ #26ა) წარმოებულ სურსათში (მალკოს ფირმის „ნაღების კარაქი 82,5%“; დამზადების თარიღი 23.11.2019წ - ვარგისიანობის ვადა 23.02.2020წ; შეძენის ადგილი „კარფური“; შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“; მის:თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-16 კმ) სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის #8377 გამოცდის ოქმის მიხედვით მცენარეული ცხიმის აღმოჩენის ფაქტს.

2020 წლის 14 იანვარს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს, თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირები სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით იმყოფებოდნენ შპს „რესპუბლიკა“-ს კუთვნილ რძის პროდუქტების საწარმოში (ს/კ 406205592; ფაქტიური მისამართი: ქ.თბილისი, ორხევი, ახვლედიანის ქ #26ა);

სახელმწიფო კონტროლის (არაგეგმიური ინსპექტირება) დროს დადგინდა, რომ თქვენს მიერ შემოსულ წერილში (2020 წლის 10 იანვრის N384) მითითებული სურსათი (მალკოს ფირმის „ნაღების კარაქი 82,5%“; დამზადების თარიღი 23.11.2019წ - ვარგისიანობის ვადა 23.02.2020წ) ბიზნესოპერატორს აღარ ჰქონდა ადგილზე და სარეალიზაციო ქსელში განთავსებული. ბიზნესოპერატორის განმარტებით აღნიშნული სურსათი, რომელიც გამოითხოვა ქსელიდან გამოიყენეს სხვა სურსათის წარმოების დროს მცენარეულ ცხიმთან ერთად. ასევე, ბიზნესოპერატორმა წარმოადგინა მის მიერ წარმოებულ სურსათზე (მალკოს ფირმის „ნაღების კარაქი 82,5%“;) ჩატარებული 2019 წლის 30 დეკემბრის №8511 კვლევის ოქმი რძის ცხიმის სისუფთავის განსაზღვრაზე, რომლის მიხედვითაც დარღვევა არ დაფიქსირდა.

არაგეგმიური ინსპექტირების დროს გამოვლინდა არაკრიტიკული შეუსაბამობები, რაზეც ბიზნესოპერატორს მიეცა შესაბამისი მითითებები და განესაზღვრა გონივრული ვადა.

პატივისცემით,

მაია საბაშვილი

სამსახურის უფროსი